

რედამცია: სოლოლაკზე, სერგოვეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედამციისა: სერგოვეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типограф. Въ редакцію газ. „Дробрѣ“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლია—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

სოციალური დემოკრატიის ჟურნალი

დროება

ცალკე ნომერი ღირს რუბლი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—1 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედამციის უფლება აქვს გადასწოროს და შეამოკლოს დასაშვად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

სოციალური დემოკრატიის

„დროება“

ხელის-მწერა: მთელის წელი, რედამციის კანტორაში (სერგოვეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Въ Типограф. Въ редакцію газетъ „Дробрѣ“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი აპრილიდან პირველ ივლისამდე გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ. წლის დამწვეამდინ—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა, თანავე უნდა იქმნეს რედამციაში გამოგზავნილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 4 აპრილს. ინგლისსა და რუსულთს შუა სრული თანხმობა ჩამოვარდა. აქაურ რუსულთის ელჩმა გამოაცხადა წინადადებები, რომელნიც ინგლისმა მისცა რუსეთსა: ინგლისი თხოულობს, რომ რუსეთმა შეამოკლოს თითქმის ნახევრათ ბოლგარიის საზღვარი და დაუბრუნოს ისევ უკან მსაღმალეთს ბათუმი, შარსი და ბაიაზეთი.

საქართველო

ღიუბნი

ლეკანდელი ტელეგრაფმა, უმტველოდა დააფრთხობს ისეთს პირებს, რომელთაც ხელ-ახლად ომის ატენისა ეფინიანთ. მაგერად ისიც ხომ უქვეყლია, რომ ჩვენებური პოდრიადნიკები ახლა კიდევ გამოაქვეყნენ თვალმებს, სიამოვნებათ დაისმენ. ჯიბეზე ხელს და თავიანთებურად გაძრომ-გამძრომებს დაიწყებენ. მაჭრებიც, ამ ტელეგრაფით შემინებულინი, დააძვირებენ საქონელს, რადგან მიზეზი ექნებათ: დღეს არის, თუ ხვალ ზღვა შეიკრებაო, იტყვიან, „ზავ-

რანიჩის“ საქონელს ველარ მივიღებთო და სხვ. და სხვ.

თუკეა კეკელიძე ახლოს არის, რომ ომი იქნება, მაგრამ გადაწყვეტილ და დარწმუნებოთ თქმა, რომ უეჭველად იქნებაო, ჯერ-ჯერობით მაინც არ შეიძლება. დიპლომატიების საქმე ვითარცა წყვლიაო, ასეთი ბნელი და გამოუყვლეველია: დღე რომ ვეგონოს, დაძვეს გაიზინენ და ღამეს დღით აქცევენ...

ჩვენს ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია ძველასი არმიის მთავარ-სარდლის თანამეფის თ. სეიატოპოლკმარსკის განკარგულება, რომლის ძალითაც ძველასის სხვა-და-სხვა მხარეებში ბრძოლის ველზე დაბანაკებული ჯარები, როგორც ათბება თუ არა, უნდა გამოიყვანონ უფრო საღ ალაგებზე და ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული იმათ ჯანმრთელობას, კარგათ ჩვენას, სუფთად შენახვასა და სხვ.

ჩვენ შეეიტყეო, რომ უფ. ძალ-მოვის პარომი მუხრანთან სიღთან ამ ეჟიდ ველარ მოქმედებს, რადგან მტკვარი ერთობ აღიდებული არისო. შეეიტყეთ აგრეთვე, რომ უფ. ძალ-მოვის დაუბარებია მეორე რუკისი ჯაჭვი (მაფთულისა) და როცა იმას ვაბამს, მაშინ ყოველთვის თავისუფლათ შეუძლიან ამ პარომს მტკვარზედ სიარულიო.

ბევრი ილაპარაკეს ვასულ ორშაბათის სხდომაზე ჩვენი ძალაქის რეგენს-ხმოვანთა ამ დაუბოლოებელ საგანზე—პირუტყვის საკლავი ადგილი ამ ორ ჩეჩენებ და ამ ადგილამდინ გზის გაყენახვად. მაშინ მოხსენებლად აღმოჩნდა, რომ თვითონ პირუტყვის საკლავი შენობა ამ ეჟიდ სრულიად დამზადებული არის ნავთლულში, ახლა მხოლოდ გზის გაყენა ეჭირება ქალაქათ, და ამ გზის გასაკეთებლად მაშინგობა სთხოვდა ჩრეცას 4,000 მანეთის დახარჯვის უფლებას ქალაქის ხაზინიდან.

ხანგრძლივი ბაასის შემდეგ ჩრეცამ გადაწყვიტა, რომ პირუტყვის საკლავი ადგილი ახლავე დაწესდეს ნავთლულში; მაგრამ ამასთანავე ვიშუამდგომლოთ მთავრობასთან, რომ მეყასბებებს მიეცეს უფლება შივ ქალაქშიაც დახარჯონ პირუტყვი. ამასთანავე ცალკე კომისიამ უნდა ამოარჩიოს ადგილი, სადაც გამართოს სამუდამოთ პირუტყვის საკლავი შენობა.

მაზეთი „ძველასი“ გეცნობებს, რომ მამ ეჟიდ თფილისში იმყოფება

ერთი მდიდართავანი ამერიკელი ვაჭარი ტვიდლი, რომელსაც დიდი ვაჭრობა აქვს ნავთისა ამერიკაში და რომელიც აქ იმ განზრახვით ჩამოსულიაო, რომ ბაქო-ბაზუმაშინ გაიყვანოს მიღები ნავთის გადასატანათაო. პროექტ, ამ საგნის შესახებ, როგორც ამბობენ, რუსეთის ფინანსთ სამინისტროს აქვს წარდგენილი დასამტკიცებლად.

ამავე გაზეთის სიტყვით, 22 ვასულ მარტს თფირანიდან წამოსულა და აქ მოკლე ხანში თფილისზედ გამოივლის სპარსეთში მყოფი ინგლისის ელჩი უ. ტამონი, რომელიც ლონდონში მიდის.

შენიშნული ვაჭარი

დღი ხნის მთლოდინის შემდეგ ბოლოს, როგორც იქნა, ველირსეთ წელს ერთს ქართულს წარმოდგენას: ამ ორშაბათს, 3-ს აპრილს, ქართული სენსი მოყვარეთა წარმოდგინეს თფილისის საზაფხულო მეთრში უფ. დ. ი. შიფიანისაგან ნათარგმნი შექსპირის ხუმრობამდებიანი დრამა „ვენეციელი ვაჭარი.“

სანამ ამ დრამის წარმოდგენაზე ვიტყოდე რასმე, ორიოდ სიტყვა მინდა ეთქვა ერთს გარეშე გარემოებაზე:

ამ პიესის წარმოდგენამდინ, თითქმის ორი კვირის წინეთ რამდენიმე პირისაგან გავიგონეთ ჩვენი ვითომ „დროება“ წინათვე გადაწყვეტილი აქვსო, უკვე ლად გალანძლოს და „სასტიკი კრიტიკა“ დაუწეროს ამ წარმოდგენას და წარმოდგენაზედსაო. „შევატრცენენო“, — ასე ამბობს „დროების“ რედამციაო. „მერ ითამაშებენო“ და სხვ. და სხვ.

არ ვიცით—საიდან და ვისგან გავიცვლა ეს კორი. ბარწმუნებთ, რომ „დროების“ რედამციას არაერთარი ამ გვარი წინათვე შედგენილი ვაჭარი აოჭკონია; გარწმუნებთ, შემო-მოყვანილისთანა სიტყვები „დროების“ რედამციის პირიდან არ ამოუსლა. და არც ჰქონდა საფუძველი, რომ ეთქვა რამე, რადგან ზოგიერთ მოთამაშეებს, რომელნიც ამ პიესის წარმოდგენაში იღებდნენ მონაწილეობას, „დროება“ ვარვის მხრით, კარგ, ნიჭიერ მოთამაშეებად იცნობდა და დანარჩენები კი პირველად გამოდიოდნენ სცენაზე და მაშასადამე იმათზე ვერც კარგს იტყოდა, ვერც აესა... მა გარეშე, პირიდანებიო, გარემოება ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ შკით-

ხვედმა იცოდეს, რომ ჩვენ ამ წარმოდგენის შესახებ არავითარი წინასწარ შედგენილი, განზრახული ჰაზრი არ გქონია და რააც ეხლა ვიტყვით, ვიტყვით წამდელიათ იმას, რაც ჩვენ ენახეთ და ვიგრძენით სწორეთ წარმოდგენის, თამაშის დროს, არც აღრე, არც გვიან.

მართს შეხედვით წარმოდგენა კარგათ წავიდა: მაყურებლები თითქმის ყოველ მოთამაშის სიტყვაზედ და მიზრა-მოხრაზე ხარხარობდნენ და მღელვარებდნენ, ყოველი მოთამაშე თავის დროზე გამოდიოდა და თავის როლს არდგენდა, ტაშის კვრასა და ბრავოს ყვირილში საზოგადოებას ქუნწობდა არ გამოუხენია, წარმოდგენის შემდეგ რამდენჯერმე გამოიხმეს ყველა აქტიორები და აქტრისები, თვით მთარგმნელიცა და სხვ. და სხვ.

სამწუხაროთ უნდა ვთქვათ, რომ ყველა ეს იყო მხოლოდ ერთის შეხედვით და ისიც ბრძა თვალების შეხედვით იჩვენებოდა კაცს, რომ „მენეციელი მაჭარის“ წარმოდგენა კარგათ, უწყალოდ იყო.

სხვა-და-სხვა მიზნების გამო, (და უმთავრესად უადგილობის გამო), ჩვენ ვერ შეგვიძლიან თითო-თოეულად, ასო-ასოთ გავარჩიოთ ყველა მოთამაშეების თამაში, იმათი ღირსება და ნაკლებე-ვანება, იმათი თამაშის ძრიელი და სუსტი მხარე. ვიტყვით მხოლოდ საზოგადო-რამდენსავე სიტყვას:

პირველი და უმთავრესი როლი ამ პიესაში, უჭველია, არის როლი შევლოხასი. მერ ვიტყვით, რომ უფ. პ. შიფიანი სრულიად უწყალოდ არდგენდა ამ ძნელ როლს-მეთქი; მაგრამ ამის თქმა კი თამამად შეგვიძლიან, რომ უფ. პ. შიფიანს ეს როლი არ გაუფუჭებია და თანამოთამაშეები, ensemble-ით რომ ამბობენ, ის რომ ხეირიანი ჰყოლოდა, უჭველია, იმის თამაში ერთი-ორად უფრო კარგათ გვეჩვენებოდა, უფრო მომეტებულ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ვიდრემ მოახდინა.

მართს პატარა შენიშვნა: ჩვენ გვიკვირს, რად უქცევდა ჩვენებურ ურთულად ლაპარაკის ცილოს უფ. პ. შიფიანი? შევ-

ლოხა ხომ მენეციელი ურიაა და არა ქუთაისელი! და შექსპირის „მენეციელი მაჭარი“ ხომ სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნილი დრამაა და არა ქართულს ხასიათზე გადმოკეთებული!

პორცია (მლენე შიფიანი) იყო წამდელი პორცია, ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. ზოგიერთი ალაგები დასტურ ხელოვნურად და არტისტულად წარმოდგინა მლენე შიფიანისამ; მაგალითად, როდესაც იმის საქმრები ყუთებს ირჩევდნენ. წამდელი, გამოცდილი მოთამაშე ვერ აათამაშებს თავის პირის-სახის გამომეტყველებას ისე მარჯვედ და მოხდენილად, როგორც მლენე შიფიანისამ აათამაშა იმ დროს.

მაგიერად დოქტორის როლში ცოტათი უფრო სუსტი იყო; იმის სიტყვა-პასუხსა და მიზრა-მოხრას არ ჰქონდა ისეთი მედიდურობა, ისეთი торжественность-ო რუსები რომ იტყვიან, როგორც ამ სცენას შეეფერებოდა.

შველაზე უკეთესი იყო ლანსლო-უფ. ნ. ავალიშვილი. მაივერა, მოხერხებული, მასხარა ბიჭი. მხოლოდ ერთი ნაკლებევაება აქვს უფ. ავალიშვილს: საზოგადოებას პირში ვერ უყურებს, ჰველობის პატარძალივით თვალეები ვერ აუხელია, სულ ძირს იყურება. ამის გამო ბევრ იმის სიტყვას თავის წამდელი მნიშვნელობა ეკარგება მაყურებლებისათვის.

პი ეს სამი პირი, რომელზედაც შეიძლება კაცმა სიტყვას, რომ ამათ თავიანთი როლები არ გაუფუჭებიათ.

შრიგოთ არ უთამაშინათ: კ-ნ-ბ. ავალიშვილისას (შველოხას ქალი, ჯესიკა) და თ. ნ. ჯორჯაძეს (დოჯი მენეკრისა და ბობო ლანსლოს მამა) რომელსაც უჭველი ნიჭი აქვს სცენისა.

ღანარჩენებზე რაღა ვთქვათ? სამწუხაროთ კარგს ვერას ვიტყვით:

მ. ი. მაჩხაძე (პრინცი პარაგონელი) თავის მიზრა-მოხრით და ულაზათო თამაშით იმდენად ჰგავდა პრინცს, რამდენათაც მე და მკითხველი იპაონის მიკადოს ვგევათ. ტანისამოსით კი მსახურს მოგვაგონებდა.

მ. ზ. მაჩხაძე (პარაგონელი პრინცი) ჰგონია, რომ აქტიორებს თამაშში მარტო ხმა-მალა ყვირილში და უმწიფო ხელების იქით-აქეთ ქნევაში მდგომარეობს.

უ. დ. ქველი (ანტონიო, ვენეციელი ვაჭარი) შეიძლება ერთდროს ჩინებული jeune premier გამოდგეს (შნოიანი შეხედულობა და ტანადობა მოეხმარება ამაში); მაგრამ ჯერ-ჯერობით ვიტყვობა სრულებით გამოუცდელია სცენის საქმეში; იმის ნაკლებევაება, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ერთობ მომეტებულად იქნეს წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ ხელებსა.

უ. ი. ბაქრაძე (მასსარიო) ღმერთმა ხომ იცის, სრულებით არ არის იმისთვის დაბადებული, რომ საყვარლის როლი ითამაშოს; მაგრამ, თითქო განგებ, მუდამ ამ როლებს თამაშობს! არ ვიცით — რა ანუ ვინ აიძულებს.

უ. ნ. შიშინაშვილი (ცოტათი გადაჭარბება იცის, თარგმ ურბოთ არ თამაშობს მასხარა ბიჭის როლს).

ღანარჩენებს ისეთი უმნიშვნელო როლები ჰქონდათ, რომ იმათზე ლაპარაკი არა ღირს.

ორიოდე საზოგადო შენიშვნაც.

„მენეციელი მაჭარი“ ერთი უმაღურთაგანი პიესა არის შექსპირისა.

მოგესხენებათ, ბევრი ისეთი პიესა მოიპოება, რომელიც ძალიან კარგათ რომ ვერ წარმოდგინონ მოთამაშეებმა სცენაზე, მაინც კარგათ გამოვა, რადგან თვით პიესის შინაარსი, მომქმედი პირების მდგომარეობა არის ისეთი, რომ მაყურებელ საზოგადოებაზე ახდენს ხოლმე შთაბეჭდილებას.

„მენეციელი მაჭარი“ სრულებით ამისთანა პიესა არ არის: აქ ყველაფერი მოთამაშეების ხელოვნებაზე არის დამოკიდებული: კარგათ წარმოდგინეს — პიესამ მოახდინა შთაბეჭდილება, ცუდათ — პიესამ ჩაიარა უმნიშვნელოდ, ძილი მოგვარა მაყურებლებს.

მართს სიტყვით, ეს ძნელად სათამაშე-ბელი პიესა არის, განსაკუთრებით თუ ჩვენ სცენის შეძლებას მივიღებთ მხედველო-

ფალტონი

I ბაზრის სენეაბი.

(ბაზრულა. — ბაყლებს დუქნის წინ პატარა ზარი ჰკიდია; იქ მდლუქნის შაგირდს სხვა-და-სხვა ნაირი მწვანელი უწყვი, თვითონ პიტნა დაუქვრია ხელში და მადლის ხმით გასძახას.)

ბიჭო! ბიჭო!... მი! მართს შეხედვით და... მა, ვა, რა პიტნა!... იჭ, ამ პიტნასა!... პიტნა, ბიჭო!... პიტნა მოსულა, პიტნა!... მორფა პიტნა, სუნელი პიტნა, სამოთხის პიტნა!... პა, პა, პა, პა, პა, პა!... მჭ, შენი გამჩენის პირი კი მე!... რა პიტნა, რა პიტნა!... შეხედვით-და!... ბიჭო!

მიწ, ამ პიტნასა!... ბიჭო!... მიწ ამ პიტნასა!... ტარხუნა?.. ტარხუნა კი არ გინახავთ?.. ბიჭო!... მართს შეხედვით-და!... ტარხუნა, ბაჭო, ტარხუნა!... მანაკ!... პი, ლაზათ!... პი, სუფრის შნო!... მიწ!... (ზარს ჩამოჰკრავს.)

II

(ზაფხულია. — იმავე დუქნის წინ, იგივე) ... ბიჭო, ბაჭო!... მს რა მოსულა?... მეთრი თუთა, ალაჯა თუთა, ციფ-ციფი თუთა!... მარგალიტია, მარგალიტი!... იჭ!... თუთა, რა თუთა!... თუთა კი არა, ყინვარის შაქარია!... შანდია, ყანდი!... ბიჭო!... (ზარს ჩამოჰკრავს.) პა, პა, პა, პა, პა, პა!... მიწ, ამ თუთასა!... მიწ!...

III

(ზაფხულია. — იმავე დუქნის წინ, იგივე);

... მჭო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო!... რა კიტრია, რა კიტრი!... შუშა-შუშა!... ძიტრუული!... პა, პა, პა, პა! ბიჭო!... მართს შეხედვით ამ კიტრებს — და! (იღებს ერთს კიტრს ხელში). პი, ქარფა!... ატლიფონსკია, ბიჭო!... ბალი?... მეთრი ბალი!... ბოგრა ბალი!... შანსკია, შანსკი!... შეხედვით-და!... პი, ჯერამ-ჯერამი!... ზარგარი, ყაისი, ალჯანბადი, ქაღალბადი!... მიწ!... დაწინწკლული, დაწითული!... შაქარია, შაქარი!... მა, ვა!... (უწონს მყიდველს და ზარს აწკარუნებს). მათეფა, ბიჭო!... მა იყიდა!... მასალა!... დაიტაცეს!... ჰაი, თუ მას ჰამს კნიაზი!... მიწ!... მ. რაფიელ შინთაგო. 31 მარტს.

ბაშა: დახელოვნებული მოთამაშეები თითო-ოროლა გეყავს და სცენის მხრითაც ბევრი ნაკლულევიანება.

ამას გარდა ნათქვამია, რომ „კარგ მთქმელს კარგი გამგონი ეჭირებაო.“ ძარ-გი გამგონობა ვერ დაიმტკიცა გასულ ორშაბათს თეატრში მყოფმა საზოგადოებამ: ზოგან ისეთს დროს ხარხარობდნენ, როდესაც ტანში კრუანტელს უნდა გაე-ვლო და თმა უნდა აბუძგოდა კაცს და ხან კი ისეთს დროს დაელოთ პირი, რო-დესაც ხარხარი და სიცილი შეიძლება და.

ეს, რასაკვირველია, ერთის მხრით უხეირო თამაშობის ბრალიც იყო: მაგ-რამ მეორე მხრით იმისაც, რომ საზოგადო-ებას ვერ გაეგო ნამდვილი ჰაზრი ამ მიმე-პიესისა და იცინოდა „სიტყვებზე“ და არა „მოქმედებაზე.“

ამიტომაც ურიგო არ იქნება, რომ ჩვენი სცენის მოყვარებმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ერთის მხრით თა-ვის სცენურ შეძლებასა და მეორეს მხრით იმ საზოგადოების გონებით გან-სნასა და გაგებას, რომლისთვისაც ისი-ნი თამაშობენ....

ს. მ.

დროის „სოკრატეს მონღანცია“

ოკუპაციით, 1 პარიზს. მთელს ზუ-რიაში გავარდა ზმა, ვითომც რუსეთის მმართველობას გამოეცხადებინოს საზო-გადოთ, რომ, რადგანაც რუსეთსა და მსმალოს შორის იქმნა მორიგებაო, ამის გამო ყველა ქრისტიანს, თუ სურ-ვილი და ინტერესი ექმნებაო, შეუძლიან დაიჭირონ მსმალოს ხალხთან ყოველ-ნაირი მოყვრებითი და ნათესაობითი კავ-შირობა: ესე იგი იმათი ქალი ცოლათ შეირთონო და თავის ქალებიც თათრებს ცოლათ მისცენო.

ამ ამბავს, ანუ უკეთ ჭორს, როგორც ამბობენ, ავრცელებენ შობულეთიდან გაღმოსახლებულნი და დროებით დასა-ხლებულნი სოფ. შამათს გამაჰმადიანე-ბულნი ქართველნი.

ამ ამბავის თანახმად მცხოვრებლები უმოყვრდებიან იმათა: მე ვაფიგონე, რომ 25 მარტს ერთმა იქვე მცხოვრებმა გლეხმა-კაცმა მოანათელინა შეილი მ. ჯ. — იას. მ. გარემოება ძრიელ გამო-კვირდა, რადგანაც სხვა რჯულის მექო-ნე პირები არ შეიძლება მიმრქმელად იქმნეს, რადგანაც მიმრქმელი ვალდებუ-ლათ ჰხდის თავის თავს ღეთის წინაშე, რომ მისი მომწინებელი აღზარდოს კა-ნონისა მებრძართლმადიდებელის სარწმუნ-ოებისა და თვითონაც კი უნდა იცო-დეს საჭირო ლოცვები. ამ ამბავზედ წი-თზე იმ სოფლის მღვდელს, რომელმაც მღვდელ-მოქმედება აღასრულა. იმან მითხრა: მართალია, მე დედ-მამის თხო-ვნით ყმაწვილი ვიქმნე, მაგრამ მ. ჯ. — იას. მიმრქმელათ არ აღვიარე, რად-განაც ვიცოდი, რომ არ შეიძლება დარ-განა ექცილი დაყენა ღეთის წინაშე, იმან რასაც კანონი თხოულობს, იმ ეე-

ქილმა ავღს პასუხი მღეთის წინაშე; მა-გრამ დედ-მამა ვეჭილს მიმრქმელათ არ სთელის და არც ვეჭილი თავის თავს სთელის მიმრქმელათ. არა მგონია, რომ ღეთის წინაშე ვეჭილის დაყენება შეი-ძლებოდეს ამ ნაირის საქმეებისათვის...

ამ ნაირი ნათესაობა გაჩნდა მცხოვ-რებლებ შორის; ზოგი თათარს შეიღე-ბულათ იყვანს და მღვდელ-მოქმედებას კი ხოჯას ასრულებინებენ; ზოგნი ვითომ ნინათლებიან და სიძეთ უხდებიან და წინ-და-წინ მოყვრდებიან.

ამ გარემოებამ ჯერ-ჯერობითაც კარ-გი გავლენა იქონია მცხოვრებლებზედ და შემდეგში იმედია, რომ უკეთესს ნა-ყოფსაც მოიტანს: ომის დაწყებამდინ რომ მსმალო დაენახათ ლამე ან დღე უადგილო ადგილზედ, მაშინვე ერთს რალტას იფიქრებდნენ, და ახლა მცხო-ვრებლების ხანლების ზენა და ქვენა კა-რები ყველამ კარგათ იცის და თავისუ-ფლათ დადიან; რომ ჰკითხო: მანდ შენ რისთვის ხარო? — ვაჯავრებით იტყვიან: ძიავე, შენ არ იცი, რომ მე აქ ნათლუ-ლი მყავს? ან: მე ამა-და-ამ კაცის შეი-ლებული ვარო! — და ვინ უნდა გაუბე-დოს სიტყვის თქმა იმათ? ყველა სილა-ლით არიან ჩაკაზმულნი; თითქო ომში მიდიანო. შული სამყოფი აქეთ, საჭმელ-სა და სასმელს ხაზინა აძლევს და უფრო კი იქაურ მცხოვრებლების ნამუშევრით იკვებებიან.

ღვთის ხალხს უხაროდა, რომ ჩხუ-ბის მერმეთ ქურდობა მოისპობაო; ახლა კი ყოველ დღე მატულობს. ამ ნაირის ქურდობის და ავაზაკობის თაობაზედ იყო ძიმიტის და ჯუმათის საზოგადოე-ბის ერთათ ყრილობა: უნდა გამოეყვან-ნათ შენიშნული პირები; მაგრამ ჯერ-ჯერობით არ დაუასრულებია ყრილობ-ბას ეს საქმე...

ა. ლ. მასაძე

ომის აზრები

ომისთვის მზადება

ნემეტურ გაზეთს „Presse“-ში სწე-რენ ლონდონიდან, რომ ინგლისის მმარ-თებლობა ყიდულობს მცირე აზიაში სამხედრო საჭიროებისათვის სურსათსაო და ამ სურსათის მოსაგროვ ადგილათ დაწინაშულია ქალმქი სმირონო.

ვენის გაზეთებს აცნობებენ სტამბო-ლიდან, რომ ინგლისს ჰყავს იზმიდში დაბანაკებული 20,000 ჯარი, რომელიც მომეტებული ნაწილი შესდგება ჩერქე-ზებისგან. შეელა ესენი ინგლისისაგან არიან ნაქირავებიო. ამბობენ, რომ თუ ომი ატყდა, იმათ გაგზავნიან წყლით ძავეასიაში.

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემ-დეგი დეპეშა 27 მარტს ლონდონიდან მიღებული:

ლორდ ბიკონსწილდმა წარმოსთქვა პალატაში შემდეგი სიტყვა: ინგლისის

პოლიტიკა დამყარებულია 1856 და 1871 წლის ტრაქტატზე; ამის დაწყებამ სათანავე ინგლისმა გამოეცხადა რუსე-სეთს, რომ ყველა სახელმწიფოების სრულ-ლი თანხმობა არის საჭირო ამ ტრაქ-ტატების შეცვლაზე. მას შემდეგ, რო-დესაც რუსეთმა უარი გამოუცხადა ინ-გლისის თხოვნაზე, რომ წარმოედგინა კონგრესისთვის სან-სტეფანოს პირობე-ბი, ყველა გვარი იმედი კონგრესის შე-ყრასე დაგვეკარგა და ინგლისი თავის მხრით ომისთვის ემზადება.

შემოსწენებულსავე გაზეთებში მოყ-ვანილია შემოკლებით ის სიტყვა, რო-მელიც მარკიზ სალისბერის უთქვამს ლორდების პალატაში: ჩვენი ცირკუ-ლიარის მიზანი ის კი არ იყო, რომ სრულებით დაერღვია სან-სტეფანოს პი-რობები; ცირკულიარის ჰაზრი ის იყო, რომ დაწერილებით გაერჩიათ და აეწო-ნათ ეს პირობები მმართველობის ომის-თვის მზადება სრულებით არ გვიმტკი-ცებს ომიანობას. ის სიბრთხილისთვის ემზადება. მაგრამ თუ ომი მოხდა მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისი თავის საქმეს კარგათ წაიყვანს და ამ ომის ბოლო კეთილი იქნება ჩვენის სახელმწიფოსთვის.

ვენის გაზეთში სწერენ „Pol. Corresp.“-ო მთილისიშ სპარსეთის პრინ-ცის მოსვლას პოლიტიკური მნიშვნე-ლობა ჰქონდაო; ღიდ მთავარსა და პრინცს მოლაპარაკება ჰქონდათ — თუ რა კავშირი უნდა დასდეს რუსეთსა და სპარსეთს შუა, თუ ვინიცობაა ომი ატ-ყდაო.

ამავე გაზეთში იწერებიან, ვითომ სპარსეთი დაჰპირებია რუსეთს, რომ ომიანობის დროს ის გამოიყვანს 40,000 კაცს მოსაშველებლათ. მსმალეთისგან წართმეულს თოფ-იარაღს გზავნიანო ქრეფანშიო, საიდანაც გადააქეთ თეი-რანში.

ზაზეთს „Times“-ში დაბეჭდილია, რომ რუსის ჯარი ბაიანეთიდან და სალანლუ-ლის მთებიდან გადადიან შავი ზღვის ნა-პირებთან (?). შავი ზღვის ნაპირებს ამაგ-რებენო. მდესილამ გაიგზავნა 2,000 ზარბაზნიო შავი ზღვით შოთშიო (?). ჯარის და არზრუმის სიმაგრეებს რუსე-ბი ამაგრებენო. პარილში მოიღიანო აქ, ძავეასიაში რუსეთიდან 22,000 კაცს ომ-ში დახოცილ სალდათების რიცხვის შე-სამსებლათ, ახლათ გამოასულ აფიცრები-დგან 300 იგზავნება ძავეასიაშიო.

ბერლინიდან იწერებიან 28 მარტს, რომ თ. ბისმარკმა სთქვაო, რომ შერ-მანიის მონაწილეობა ომში არასავით არ შეიძლებაო.

შრანკუნულ გაზეთს „Temps“-ში იწე-რებიან ვენილამ: რაც უნდა სასარგებლო პირობები

მისცეს რუსეთმა ავსტრიას, ის იმას მაინც არ შეუერთდება. მა მიზეზი გარწმუნებს, რომ რუსეთი დაუთმობს და კონგრესის შეკრება შესაძლებელი იქნება.“

განცხადებანი

პირველი სანიტარული ატრიადის უზრუნველსაგან

პირველი სანიტარული ატრიადის უფროსი ამით უცხადებს თავის უბნის (ქალაქის I ვახუფილებს 1-სა და ვუჩასტკის მცხოვრებლებს, რომ რაც შეიძლება საჩქაროთ აუტრან ყვეილი თავის შევილებს, რადგან ამ ყამად ყვეილი გავრცელებულია ქალაქში.

ყვეილის ატრა შეიძლება ჭავჭავაძის ქუჩაზე, საპროის ქუჩის პირ-და-პირ, საცა სამშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით დილის 10 საათიდან ყვეილის ასაცრელად არიან მუდამ ექიმები; ამას გარდა სანიტარულ კომიტეტს ჰყავს ყვეილის ამცრელი, რომელიც ვალდებულია პირველ-მოთხოვნაზედვე მივიდეს ოჯახებში და აუტრას ყმაწვილებს ყვეილი.

3-1

ისუილება ყუთობით საუკეთესო მანქანი (წასახეობი) ფაიტონების და სხვა პოვოზის ბორბლებსათვის.

თითო ყუთი ღირს 50 კაპიკად.

მსურველს შეუძლიან მიმართოს სარაჯვეის ქარვასლაში მარსევიან რატონთან

(3-2)

ახალი წიგნი

„სოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოკმედებინი ვოდევლი

მასილი აბაშიძისა
იყიდება: თფილისში—მართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ჭუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

(5-4)

გამოვიდა და ისუილება „სოლი ვიტირო, თუ ფული?“

პომელია აღ. თუთაევისა
ისუილება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს. ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუზმანაშვილთან, ქარელს—დავით მეროხაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უფეტში, სურამს—ზაკარია არუწოვთან, ჭუთაისს—იაკობ მჰანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან შოთში—მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თავთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორჯომში—სტ. ზომოცეთან და თვითონ ავტორთან.

ტყავის ქარხანა თფილისში

დამოწმის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-და-პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აღნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლად ეჭირებნათ, რომ ამ ქარხანაში კმთდება და მუდამ მოიკრევა და მზადებული ყოველგვარი ტყავი ფადებისთვის, უნაბრისა, კარკატის და ფაბრიკებისა, ჩამამებისა ლანა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიღვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტონში

რაში, სადაც მსურველს შეუძლიან ყვრეთვე რა გარი ტყავის უნდა შეუკრეთოს და გაუკეთებენ. წერილ-წერილად ამ ქარხანის საქონელი ისუილება მაღაზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25-9)

აბრაშუმის ჭირის თხლი (კვერცხი)

იტალიის მოღვმისა, სალი ისუილება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის მაღალი უფ. მირსკის პირ-და-პირ).

ყასი თითო მისხლისა მჰმსი შაშრი მრთს კაცს 10—15 მისხალზე. მეტი არ მიევილება.

ჭუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისუილება:

- 1) დედა ენა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
- 2) ანუა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ზრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.
- 3) სოლი ვიტირო, თუ ფული? პომელია აღ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
- 4) ვეფხვის ტყარხანა, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
- 5) ვეფხვი ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

სალაგური.

ანუ ლექსთა ქრება.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძესი.

ყასი ორი შაშრი.

თფილისში მ. ხელაძის ქაღალდში და ჭუთაისში, ი. მესხთან.

| რკ. გზა. | დილა. | საღამ. | II კ. | III კ. | ბელეგრადში | მ. კაპ | მაზანდა | მანკა | თფილისის სამეურნეო |
|------------|-------|--------|-------|--------|--|--------|------------------------|-------|------------------------------------|
| თფილისი | 9 21 | 5 18 | | | მცო სიტყვა თფილისიდან: | | თფილისი, 4 პირის | | მრეგნის მადანზე, წინამძღვაროვის |
| მცხეთა | 10 11 | 6 27 | 68 | 38 | ჭუთაისს, შოთს | 1 | შვე. თუთ. ბანჯისა, ფთ. | 1 80 | სახლებში. |
| ზორი | 11 58 | 9 43 | 2 40 | 1 33 | ზორს, დუშეთს, სიღნაღს | 50 | შვეილი წითელი | 1 50 | ავთმყოფებს: მიიღებენ ყოველ დღე, |
| ხაშური | 1 29 | 11 57 | 3 92 | 2 18 | როსტოვს, მდებსა, მოსკოვს | 2 | ჭერი ფუთი | 1 40 | კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ. |
| სურამი | 1 44 | | 4 42 | 2 46 | პეტერბურგს, შარშავას | 2 | ბამბა მრეგნისა, ფუთი | 7 50 | მ. რ. შ. ბ. ა. თ. მინკევიჩი—ხორტ- |
| შვირილი | 5 49 | | 5 81 | 3 23 | მსხალეთში, შვეიცარიაში | 3 | — ამერიკისა, ფუთი | 8 50 | რგი, ლისიცივი—შინაგ. ავთმყოფ. |
| რიონი | 6 47 | | 6 75 | 3 75 | იტალიაში და საფრანგეთში. | 3 50 | ბაპენტილი ბამბა ფუთი | 10 | ს. ა. მ. შ. ბ. ა. თ. მერმევი და |
| სამტრედია | 7 41 | | 7 73 | 4 29 | ინგლისში | 3 75 | მატყელი თუშური ფთ. | 8 20 | მარქაროვი—შინაგ. ავთმყოფობის, |
| ახ.-სენაკი | — | — | 8 57 | 4 76 | ფო. შაბ | | — თარაქამისა ფთ. | 4 40 | მამამევი—თვალის, |
| შოთი | 9 40 | | 9 75 | 5 42 | ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე | | აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | მ. თ. შ. ბ. ა. თ. ლისიცივი—ში- |
| შოთი | 9 13 | | | | კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. | | ქონი, ფუთი | 6 30 | ნაგანი ავთმყოფ, ძიუჩარინცი—ვე- |
| ახ.-სენაკი | — | — | 1 18 | 66 | მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს— | | ქონის საწთელი ფუთი. | 8 | ნერიოლის |
| სამტრედია | 11 16 | | 2 61 | 14 | სამშ. და შაბ. ბ) ჭუთაისიდან: | | სტეარინის საწთელი, ფ. | 13 40 | ხ. თ. შ. ბ. ა. თ. მერმევი—შინა- |
| რიონი | 12 13 | | 3 41 | 69 | თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ | | ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 8 | განი ავთმყოფობისათვის. |
| შვირილი | 1 18 | ლაგე | 3 98 | 2 21 | დღე, კვირას გარდა. მ. ზურგეთს— | | — ცხერისა, ლიტრა | 99 | პ. რ. კ. ს. კ. ვ. ლისიცივი და მსა- |
| სურამი | 5 12 | 1 10 | 5 33 | 2 96 | ორშ. და პარასკ. | | სპირტი, ვედრო | 5 20 | ტურცი—შინაგ. ავთმყოფ. და მინ- |
| ხაშური | 5 39 | 1 37 | 5 84 | 3 24 | წიგნის გაგზავნა რუსეთში | კაპ. | შაქარი, ბროც. ფუთი | 8 20 | კვიჩი—ხორტურგ. |
| ზორი | 7 5 | 4 8 | 7 36 | 4 9 | და სამზღვარ გარეთ: | | — უზენილი ფუთი | 6 50 | შ. ბ. ა. თ. მ. მერმევი და მარქა- |
| მცხეთა | 8 50 | 6 59 | 9 85 | 4 | ლა წიგნის | 4 | შავა გრგვალი, გირვ. | 70 | როვი—შინაგანი ავთმყოფობის, ძიუ- |
| თფილისი | 9 31 | 7 56 | 9 75 | 5 42 | დაბედილის (სანი მისხალი) | 8 | შ. თ. ქუნჯულისა ფუთ. | 12 | ძიუჩარინცი—ყურის და ხორტურგიულ |
| | | | | | | | მამამევი, საშუალო ფუთი | 8 55 | ავთმყოფ. და მამამევი—თვალის. |